

**GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM**  
**საქართველოს სახელმწიფო**  
**ელექტროსისტემა**  
**ბრძანება**

გ. მაკლიაძე

29.05 2017 წ.

ქ. თბილისი

№ 262

*„ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების კომპონენტებზე  
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გამოყენებული  
ლუქების აღრიცხვის მონაცემებში ტექნიკური შეცდომების დაფიქსირების, მათი გასწორების და  
პრევენციის უზრუნველყოფის წესის“  
დამტკიცების თაობაზე*

ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძებზე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ლუქების დადებისა და დადებული ლუქების სათანადოდ აღრიცხვის, ასევე აღრიცხვის კვანძის ინსპექტირება/შემოწმების აქტის ჯეროვნად და სრულყოფილად შედგენის უზრუნველსაყოფად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წესდების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**


1. დამტკიცდეს „ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების კომპონენტებზე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გამოყენებული ლუქების აღრიცხვის მონაცემებში ტექნიკური შეცდომების დაფიქსირების, მათი გასწორების და პრევენციის უზრუნველყოფის წესი“ წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული (დანართი N1) რედაქციით.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნები შესასრულებლად სავალდებულოა სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის („სსე“) ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის კომერციული აღრიცხვის სამსახურის აღრიცხვის კვანძების აუდიტის და აღრიცხვის წრედების ტექნიკური მომსახურების განყოფილების უფროსისა და მოცემული განყოფილების აღრიცხვის კვანძების აუდიტორთათვის.
3. ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პერსონალისთვის.
4. სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანების ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მისი სსე-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge)) განთავსება.

5. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსს დავით დგებუაძეს.
6. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის მმართველი/

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე



ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების კომპონენტებზე  
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გამოყენებული ლუქების აღრიცხვის  
მონაცემებში ტექნიკური შეცდომების დაფიქსირების, მათი გასწორების და პრევენციის  
უზრუნველყოფის წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. წინამდებარე წესის მიზანს წარმოადგენს ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძებზე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (შემდგომში „სსე“) მიერ ლუქების დადებისა და დადებული ლუქების სათანადოდ აღრიცხვის, ასევე აღრიცხვის კვანძის ინსპექტირება/შემოწმების აქტის ჯეროვნად და სრულყოფილად შედგენის უზრუნველყოფა.
- 1.2. წესი განსაზღვრავს ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების კომპონენტებზე სსე-ს მიერ გამოყენებული ლუქების აღრიცხვის მონაცემებში ტექნიკური შეცდომების დაფიქსირებისა და აღმოფხვრის მექანიზმებს.
- 1.3. წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის კომერციული აღრიცხვის სამსახურის აღრიცხვის კვანძების აუდიტის და აღრიცხვის წრედების ტექნიკური მომსახურების განყოფილების უფროსისა და ამავე განყოფილების აღრიცხვის კვანძების აუდიტორთათვის (შემდგომში ორივე მოხსენიებული, როგორც „შემსრულებელი“).

**მუხლი 2. ლუქების აღრიცხვის მონაცემებში შესაძლო ტექნიკური შეცდომები**

- 2.1. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების კომპონენტებზე გამოყენებული ლუქების აღრიცხვის მონაცემებში შესაძლო ტექნიკური შეცდომებია:
  - 2.1.1. ასახსნელ ლუქის ნომერსა და წარსულში დადებულ ლუქის ნომრის ჩანაწერს შორის შეუსაბამობა;
  - 2.1.2. ახსნილი ლუქის ნომერის ჩანაწერსა და იმავე ლუქზე აღრიცხვის ელექტრონული ბაზის ჩანაწერს შორის შეუსაბამობა;
  - 2.1.3. შემსრულებლის მიერ ახსნილი და ახალ დადებული ლუქის ნომრის, აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში არასწორად ასახვა;
  - 2.1.4. ინსპექტირების აქტში ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ის არასწორად ასახვა;
  - 2.1.5. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის ინსპექტირების/შემოწმების აქტში ან/და აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში შემსრულებლის მიერ ლუქის ნომრის არასწორ ველში / პოზიციაში ან არათანმიმდევრული მინაწერი.
- 2.2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეცდომა ტექნიკურ შეცდომად ჩაითვლება და მათი დაფიქსირება და აღმოფხვრა მოხდება აღრიცხვის კვანძების ინსპექტირების სხვადასხვა ეტაპზე, ამ წესის მე-3 - მე-7 მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ასახსნელ ლუქის ნომერსა და წარსულში დადებულ ლუქის ნომრის ჩანაწერს შორის შეუსაბამობის გამოვლენა და რეაგირება

3.1. შემსრულებლის მიერ ლუქის განთავსების ადგილზე ხდება ინსპექტირების შესაბამის აქტში დასაფიქსირებელი, ასახსნელი ლუქის ნომრის შედარება წინა ინსპექტირების შესაბამის აქტში დაფიქსირებულ იგივე ლუქის ნომერთან, რომელი აქტის ასლიც შემოწმების ადგილზე უნდა გააჩნდეს შემსრულებელს.

3.2. თუ ბოლო/მიმდინარე შემოწმების/ინსპექტირების დროს კონკრეტული აღრიცხვის კვანძის რომელიმე კომპონენტიდან ასახსნელი ლუქის ნომერი არ ემთხვევა წინა ინსპექტირების შესაბამის აქტში იგივე ლუქისათვის დაფიქსირებულ ნომერს და სახეზეა ამ წესის 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური შეცდომა, შემსრულებელი ბოლო/მიმდინარე შემოწმების/ინსპექტირების აქტში აფიქსირებს ამ ფაქტს და ადგენს ხარვეზს.

3.3. წინამდებარე მუხლის 3.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ასახსნელი ლუქის ნომერსა და წარსულში დადებულ ლუქის ნომრის ჩანაწერს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი ელექტრონული ფოსტით მიმართავს შესაბამის ინსპექტირების აქტის შემდგენ ყველა მხარეს და შესათანხმებლად წარუდგენს შესაბამისი ინსპექტირების აქტში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე გასაფორმებელი უსწორობის გასწორების აქტის (შემდგომში „უსწორობის გასწორების აქტი“) პროექტს.

3.4. შესატყვისი ხარვეზიანი ინსპექტირების აქტის შემდგენი შემსრულებელი ვალდებულია, აღნიშნული უსწორობის გასწორების აქტის პროექტის შესატყვისი მხარეებისათვის მიწოდების შემდგომ, შეათანხმოს უსწორობის გასწორების აქტი ინსპექტირების აქტის შემდგენ ყველა დაინტერესებულ მხარესთან და უზრუნველყოს უსწორობის გასწორების აქტის ხელმოწერა ინსპექტირების აქტის შემდგენი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, ხოლო ხელმოწერილი უსწორობის გასწორების აქტის დედანი ეგზემპლარების განაწილება ინსპექტირების აქტის შემდგენ ყველა მხარესთან, ამასთან უსწორობის გასწორების აქტის ერთი ასლი უნდა მიაწოდოს განყოფილების სპეციალისტს შესანახად.

3.5. წინამდებარე მუხლის 3.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული უსწორობის გასწორების აქტი დანართად უნდა დაერთოს შესაბამის ხარვეზიან ინსპექტირების აქტს.

3.6. შემსრულებელი მხოლოდ ინსპექტირების აქტის შემდგენი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ხელმოწერილ უსწორობის გასწორების აქტში ასახული ლუქის ნომერს ასახავს აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, ხოლო უსწორობის გასწორების აქტის დედანს დაურთავს შესატყვის ხარვეზიან ინსპექტირების აქტს დანართად.

3.7. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების შესატყვისი კომპონენტებიდან შემსრულებლის მიერ ფიზიკურად ახსნილ სსე-ს ლუქს თავდაპირველ ეტაპზე ინახავს ლუქის ამხსნელი შემსრულებელი აღნიშნული ახსნილი ლუქის ნომრის აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში ასახვის თარიღამდე.

**მუხლი 4. ახსნილი ლუქის ნომერის ჩანაწერსა და იმავე ლუქზე აღრიცხვის ელექტრონული ბაზის ჩანაწერს შორის შეუსაბამობის გამოვლენა და რეაგირება**

4.1. შემსრულებლის მიერ ხდება ინსპექტირების შესაბამის აქტ(ებ)ში დაფიქსირებული ახსნილი ლუქის ნორმის ასახვა აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში.

4.2. თუ ინსპექტირების შესაბამის აქტში ბოლო/მიმდინარე შემოწმების/ინსპექტირების დროს დაფიქსირებული კონკრეტული აღრიცხვის კვანძის რომელიმე კომპონენტიდან ახსნილი ლუქის ნომერი არ ემთხვევა აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში იმავე ლუქის მიმართ ასახულ ნომერს, რომელიც დაედო აღრიცხვის კვანძის შესატყვისის კომპონენტზე წინა შესაბამისი ინსპექტირების/შემოწმების დროს, და სახეზეა ამ წესის 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური შეცდომა; შემსრულებელი ამოწმებს შესატყვის ბოლო/მიმდინარე ინსპექტირების აქტში ასახული მოხსნილი ლუქის ნომერს, ფიზიკურად მოხსნილი ლუქის ნომერთან და ადგენს თუ ინსპექტირების რომელ აქტში (ბოლოში/მიმდინარეში თუ ძველში) არის ასახული ლუქის ნომერი არასწორად.

4.3. წინამდებარე მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შემსრულებელი ელექტრონული ფოსტით მიმართავს ინსპექტირების შესატყვისი აქტის შემდგენ ყველა მხარეს და შესათანხმებლად წარუდგენს შესატყვის ინსპექტირების აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის აღმოფხვრის თაობაზე გასაფორმებელი უსწორობის გასწორების აქტის პროექტს.

4.4. შესატყვისი ინსპექტირების აქტის შემდგენი შემსრულებლის ვალდებულებაა, აღნიშნული უსწორობის გასწორების აქტის შესატყვისი მხარეებისთვის მიწოდების შემდგომ, შეათანხმოს უსწორობის გასწორების აქტი, ინსპექტირების აქტის შემდგენ ყველა დაინტერესებულ მხარესთან და უზრუნველყოს უსწორობის გასწორების აქტის ხელმოწერა ინსპექტირების აქტის შემდგენი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, ხოლო ხელმოწერილი უსწორობის გასწორების აქტის დედანი ეგზემპლიარების განაწილება ყველა მხარესთან, ამასთან ერთი ასლი უნდა მიაწოდოს განყოფილების სპეციალისტს შესანახად.

4.5. წინამდებარე მუხლის 4.3 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული უსწორობის გასწორების აქტი დანართად უნდა დაერთოს შესაბამის ხარვეზიან ინსპექტირების აქტს.

4.6. შემსრულებელი მხოლოდ ინსპექტირების აქტის შემდგენი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ხელმოწერილ უსწორობის გასწორების აქტში ასახული ლუქის ნომერს ასახავს აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, ხოლო უსწორობის გასწორების აქტის დედანს დაურთავს შესატყვის ინსპექტირების აქტს დანართად.

4.7. ელექტრონურად აღრიცხვის კვანძების შესატყვისი კომპონენტებიდან, შემსრულებლის მიერ ფიზიკურად ახსნილ სსე-ს ლუქს, თავდაპირველ ეტაპზე ინახავს ლუქის ამხსნელი შემსრულებელი, აღნიშნული ახსნილი ლუქის ნომრის აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში ასახვის თარიღამდე.

**მუხლი 5. შემსრულებლის მიერ ახსნილი და ახალ დადებული ლუქის ნომრის, აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში არასწორად ასახვის პრევენცია**

5.1. შემსრულებლის მიერ დადგენილი წესით აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში ინსპექტირების აქტში დაფიქსირებული ახსნილი და ახალ დადებული ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ის წინარე ასახვის შემდგომ, განყოფილების სპეციალისტი შეამოწმებს/გადაამოწმებს და შეადარებს ინსპექტირების შესაბამის აქტში ასახული ახსნილი ან/და ახლად დადებული ლუქების ნომრებს, აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში შემსრულებლის მიერ წინარედ ასახული შესატყვისი ლუქების ნომრებთან.

5.2. წინამდებარე მუხლის 5.1. პუნქტის თანახმად განხორციელებული შემოწმების შედეგად ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ის შესაბამისობის აღმოჩენის შემთხვევაში განყოფილების სპეციალისტი აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში ელექტრონულად ადასტურებს „დიახ“-ის მონიშვნით თითოეული ლუქის ნომრის შესაბამისობას მინაწერთ: „შეესაბამება თუ არა ლუქის ნომერი ინსპექტირების აქტში დაფიქსირებულ ნომერს“.

5.3. იმ შემთხვევაში თუ არ დადასტურდება ინსპექტირების შესაბამის აქტში ასახული ახსნილი ან/და ახლად დადებული ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ის შესაბამისობა აღრიცხვის ელექტრონულ ბაზასთან და სახეზეა ამ წესის 2.1.3. პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური შეცდომა, განყოფილების სპეციალისტი წინარედ არასწორად დაფიქსირებული ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ს უარყოფს „არა“-ს მონიშვნით მინაწერთ: „შეესაბამება თუ არა ლუქის ნომერი ინსპექტირების აქტში დაფიქსირებულ ნომერს“, რის საფუძველზეც შემსრულებელი ვალდებულია შეასწოროს მის მიერ აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში წინარედ არასწორად ასახული ლუქის ნომრ(ებ)ი ინსპექტირების აქტის შესაბამისად.

5.4. წინამდებარე მუხლის 5.3. პუნქტის შესაბამისად შემსრულებლის მიერ ლუქის ნომრ(ებ)ის შესწორების შემდგომ, განყოფილების სპეციალისტი განმეორებით ამოწმებს და ადასტურებს შემსრულებლის მიერ შესწორებული ჩანაწერის სისწორეს, ზემოთ აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

**მუხლი 6. ინსპექტირების აქტში არასწორად ასახული ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ის გამოვლენა და რეაგირება**

6.1. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის მიმდინარე (ბოლო/უკანასკნელი) ინსპექტირების/შემოწმების დროს, შემსრულებელი, რომელმაც შეამოწმა ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძი, ვალდებულია დააფიქსიროს ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის ინსპექტირების აქტში შემოწმებული აღრიცხვის კვანძის კომპონენტებზე მიმდინარე შემოწმების დროს არსებული ლუქების ნომრები (რომელთა წაკითხვა შესაძლებელი იყო) და ასახოს მიმდინარე (ბოლო/უკანასკნელი) ინსპექტირების შესატყვის აქტში;

6.2. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის კომპონენტებზე მიმდინარე შემოწმების დროს („დროის N მომენტი“) არსებული ლუქების ნომრების ინსპექტირების შესატყვის აქტში, დადგენილი წესით ასახვის შემდგომ შემსრულებელმა, რომელმაც შეადგინა ინსპექტირების შესატყვისი აქტი უნდა შეამოწმოს აღნიშნული ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ი, „N-1 დროის მომენტისთვის“ შედგენილ ინსპექტირების/შემოწმების აქტში ასახული შესატყვისი ლუქის ნომრებთან.

6.3. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე მუხლის 6.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შემოწმების შედეგად აღმოჩნდება განსხვავება ბოლო შემოწმების აქტში ასახულ ლუქის ნომრებსა და „N-1 დროის მომენტისთვის“ შედგენილ ინსპექტირების/შემოწმების აქტში ასახული შესატყვისი ლუქის ნომრებს

შორის და შესაბამისად სახეზეა ამ წესის 2.1.4. პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური შეცდომა: შემსრულებელი ელექტრონული ფოსტით მიმართავს ინსპექტირების შესატყვისი ხარვეზიანი აქტის შემდგენ ყველა მხარეს და შესათანხმებლად წარუდგენს შესატყვისი ინსპექტირების აქტში დაშვებული ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე გასაფორმებელი უსწორობის გასწორების აქტის პროექტს.

6.4. შემსრულებელი ვალდებულია წინამდებარე მუხლის 6.3. პუნქტის შესაბამისად უსწორობის გასწორების აქტის შესატყვისი მხარეებისთვის მიწოდების შემდგომ, შეათანხმოს უსწორობის გასწორების აქტი, ინსპექტირების აქტის შემდგენ ყველა დაინტერესებულ მხარესთან და უზრუნველყოს უსწორობის გასწორების აქტის ხელმოწერა, ინსპექტირების აქტის შემდგენი ყველა დაინტერესებულ მხარეთა მიერ და ხელმოწერილი უსწორობის გასწორების აქტის დედანი ეგზემპლიარების განაწილება ყველა მხარესთან, ამასთან ერთი ასლი უნდა მიაწოდოს განყოფილების სპეციალისტს შესანახად.

6.5. წინამდებარე მუხლის 6.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული უსწორობის გასწორების აქტი დანართად უნდა დაერთოს შესაბამის ხარვეზიან ინსპექტირების აქტს, რომელსაც უზრუნველყოფს შემსრულებელი.

**მუხლი 7. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის ინსპექტირების/შემოწმების აქტში შემსრულებლის მიერ ლუქის ნომრის არასწორ ველში / პოზიციაში ან არათანმიმდევრული მინაწერით გამოვლენა და რეაგირება**

7.1. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის მიმდინარე (ბოლო/უკანასკნელი) ინსპექტირების დროს შემსრულებელი, რომელმაც შეამოწმა ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძი ვალდებულია დააფიქსიროს ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის ინსპექტირების აქტში შემოწმებული აღრიცხვის კვანძის კომპონენტებზე მიმდინარე (ბოლო/უკანასკნელი) შემოწმების დროს არსებული ლუქ(ებ)ის ნომრები (რომელთა წაკითხვა მოითხოვებოდა და შესაძლებელი იყო) და ასახოს ინსპექტირების შესატყვისი აქტში. შემსრულებელს ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის შემოწმების დროს თან უნდა გააჩნდეს წინა შემოწმების შედეგად შედგენილი ინსპექტირების აქტი.

7.2. ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის კომპონენტებზე მიმდინარე შემოწმების დროს („დროის N მომენტი“) არსებული ლუქების ნომრების ინსპექტირების შესატყვისი აქტში დადგენილი წესით ასახვის შემდგომ, შემსრულებელმა, რომელმაც შეადგინა ინსპექტირების შესატყვისი აქტი უნდა შეამოწმოს აღნიშნული ლუქ(ებ)ის ნომრ(ებ)ი, „დროის N-1 მომენტისთვის“ შედგენილ ინსპექტირების აქტში ასახული შესატყვისი ლუქის ნომრის ჩანაწერის ადგილთან, პოზიციასთან ან/და მინაწერთან ან/და მინაწერთან და ასევე აღრიცხვის ელექტრონული ბაზის შესაბამის ჩანაწერთან.

7.3. წინამდებარე მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება შეუსაბამობა მიმდინარე შემოწმების დროს შედგენილი ინსპექტირების აქტში ასახულ ლუქის ნომრებსა და „დროის N-1 მომენტისთვის“ შედგენილ ინსპექტირების აქტში ასახული შესატყვისი ლუქის ნომრების ჩანაწერის ადგილთან, პოზიციასთან ან/და მინაწერთან ან/და აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში შეტანილ ჩანაწერთან შესაბამისად. სახეზეა ამ წესის 2.1.5. პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური შეცდომა, შემსრულებელი ელექტრონული ფოსტით მიმართავს ინსპექტირების შესატყვისი ხარვეზიანი აქტის შემდგენ ყველა მხარეს და შესათანხმებლად წარუდგენს შესატყვისი ხარვეზიან ინსპექტირების აქტში დაშვებული ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე გასაფორმებელი უსწორობის გასწორების აქტის პროექტს.

7.3. შემსრულებელი ვალდებულია წინამდებარე მუხლის 7.3. პუნქტის შესაბამისად უსწორობის გასწორების აქტის შესატყვისი მხარეებისთვის მიწოდების შემდგომ, შეათანხმოს შესატყვისი

უსწორობის გასწორების აქტი, ინსპექტირების აქტის შემდგენ ყველა დაინტერესებულ მხარესთან და უზრუნველყოს უსწორობის გასწორების აქტის ხელმოწერა, ინსპექტირების აქტის შემდგენი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ და ხელმოწერილი უსწორობის გასწორების აქტის დედანი ეგზემპლარების განაწილება ინსპექტირების აქტის შემდგენ ყველა მხარესთან, ამასთან ერთი დედანი უნდა მიაწოდოს განყოფილების სპეციალისტს შესანახად.

7.4. წინამდებარე მუხლის შესაბამისად გაფორმებული უსწორობის გასწორების აქტი დანართად უნდა დაერთოს შესაბამის ხარვეზიან ინსპექტირების აქტს, რომელსაც უზრუნველყოფს შემსრულებელი.

7.5. წინამდებარე მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება შეუსაბამობა მიმდინარე შემოწმების დროს შედგენილი ინსპექტირების აქტში ასახულ ლუქის ნომრების ჩანაწერის ადგილს, პოზიციას ან/და მინაწერსა და აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში შეტანილ შესაბამის ჩანაწერს შორის შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს აღრიცხვის ელექტრონული ბაზის გასწორება ბოლო/მიმდინარე შემოწმების აქტის მიხედვით.

#### **მუხლი 8. უსწორობის გასწორების აქტის გაფორმება**

ამ წესით გათვალისწინებული უსწორობის გასწორების აქტი ფორმდება ყველა დაინტერესებული მხარის ხელმოწერით. თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება აქტის შინაარსს, იგი ვალდებულია აქტს ხელი მოაწეროს და დაურთოს მას თავისი განსხვავებული აზრი წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ იგი ეთანხმება აქტს და აქტი ძალაშია მისი ხელმოწერის გარეშე.